



„სამართლიანი არჩევნების“ წარდგენილი რეკომენდაციები აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საარჩევნო კომისიისადმი

2008 წლის 11 სექტემბერს აჭარის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერი ინსტრუქცია.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ აღნიშნულ ინსტრუქციასთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციები მიაწოდა აჭარის ა/რ-ის უმაღლეს საარჩევნო კომისიას. კერძოდ:

1. ინსტრუქციის პირველ მუხლში საარჩევნო დარღვევებზე განცხადება/საჩივრის შეტანის ვადად მითითებული იყო სამუშაო დღის 18:00 საათი, რაც ხშირად გარკვეულ გაუგებრობას იწვევდა (განსაკუთრებით არჩევნების დღეს), როდესაც საჩივარ/განცხადების მიღება/განხილვა ხორციელდებოდა საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ ვადებში, რაც ეწინააღმდეგებოდა ინსტრუქციაში მითითებულ ვადას. „სამართლიანი არჩევნების“ რეკომენდაცია იყო არჩევნების დღეს საარჩევნო დოკუმენტაციის მიღების, გაცემისა და რეგისტრაციის ვადის დარღვევების საქართველოს ორგანიზაციის კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად.
2. ინსტრუქციის მე-11 მუხლი საჩივარ/განცხადებების განხილვის დროს საარჩევნო ადმინისტრაციას არ ავალდებულებდა მხარის (მათ შორის, როცა ეს მხარე სადამკვირვებლო ორგანიზაციაა) მოწვევას. „სამართლიანი არჩევნების“ მიერ შემუშავებული რეკომენდაციით საჩივარ/განცხადებების განხილვის დროს მხარის მოწვევა აუცილებელი გახდა.

2008 წლის 14 ოქტომბრის სხდომაზე უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ გაითვალისწინა ორგანიზაციის რეკომენდაციები და შესაბამისი ცვლილებები შეიტანა განცხადება/საჩივრის ინსტრუქციაში. „სამართლიანი არჩევნები“ მიესალმება უმაღლესი საარჩევნო კომისიის ამ გადაწყვეტილებას და გამოთქვამს მზადყოფნას შემდგომი თანამშრომლობისათვის.